ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის (შემდგომში – ინსტიტუტი) მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს, უფლება-მოვალეობებს, ინსტიტუტის პერსონალს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობას და სხვა საკითხებს.

2. ინსტიტუტის დებულებას ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, თანხმობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული თვალთახედვა, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ინსტიტუტის მისია

   ა) განახორციელოს ფუნდამენტური ხასიათის კვლევა თეორიულ ფიზიკასა და მეცნიერების სხვა დარგებში, რომლებშიც თეორიული ფიზიკის მეთოდები გამოიყენება;

   ბ) ხელი შეუწყოს მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების მომზადებას უმაღლესი განათლების უმაღლეს საფეხურებზე (მაგისტრატურა და დოქტორანტურა);

   გ) ხელი შეუწყოს ფიზიკის პოპულარიზაციას საქართველოში.

2. ინსტიტუტის თვალთახედვა

   ინსტიტუტის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საქართველოში თეორიული ფიზიკის მიმართულებებით მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა და განვითარება. ამ მხრივ ინსტიტუტის განვითარების თვალთახედვა მიმართულია საერთაშორისო კოლაბორაციიების განვითარებასა და გაფართოებაზე და ინსტიტუტისა და მისი სასწავლო პროგრამების მაქსიმალურ ინტეგრაცია/სინქრონიზაციაზე მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

3. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

   ა) უმაღლესი დონის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს წარმოება;

   ბ) აქტიური მონაწილეობა უნივესიტეტის სასწავლო პროგრამებში;

გ) საერთაშორისო კოოპერაციის განვითარება;

დ) ფიზიკური მეცნიერების პოპულარიზაცია.

4. ინსტიტუტის მიზნები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების წარმოება;

ბ) განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

გ) ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროექტს ადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები და/ან მკვლევრები, რომლებიც ქმნიან ინსტიტუტის საბჭოს;

დ) ინსტიტუტის საბჭო ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტი შედგება სამი ცენტრისგან: ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის (ენფც), თეორიული ასტროფიზიკის (თაც) და კონდისირებული გარემოს ცენტრები (კგც).

2. ენფც, თაც-ი და კგc-ი ავტონომიური სამეცნიერო ცენტრებია, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ საკუთარ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას და, ამავე დროს, აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კონსენსუალურ საწყისებზე.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისა და მკვლევრისაგან.

2. ინსტიტუტის საბჭო ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს პირველივე სხდომაზე და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

3. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსიტუტის წევრების 2/3.

მუხლი 5. ინსტიტუტის საბჭო:

1. ფარული კენჭისყრით ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს;

2. განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

3. ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

4. ინსტიტუტის შემადგენლობაში არსებული ცენტრების წარდგინებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

5. ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების პროექტს.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი:

1. ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

2. აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასა და ინსტიტუტის დებულებას;

3. აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევრების და პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;

4. ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 7. საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო.

2. საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ნახევრისა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

3. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. საბჭო გადაწყვეტილებას warmoadgens „საბჭოს გადაწყვეტილების" სახით.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევარები და დამხმარე პრესონალი.

2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში.

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

4. ინსტიტუტს ჰყავს ასევე ასოცირებული წევრები: სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში (მათ შორის უცხოეთში) მოღვაწე მეცნიერები, რომლებიც (ინსტიტუტის მხრიდან ანაზღაურების გარეშე) მჭიდროდ თანამშრომლობენ ინსტიტუტის პერსონალთან.

მუხლი 9. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები, მკვლევრები და სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ინსტიტუტის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

3. ინსტიტუტის და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 10. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

ინსტიტუტის გარდაქმნისა და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 11. ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში შესატან ცვლილებას ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.